გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—9)


## ახალი ამბავი

*** როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, შარშან ახალციხის „სალესნიხო-“ში გაიმართა სასწავლებელი, რომელსაც საგნად აქვს მოამზადოს ტყის კონდუქტორები. შარშან ამ სასწავლებელში 88 ყმაწვილი ყოფილა, წელს-კი 14. ამათში 5 რუსია, 5 სომეხი და 4 ქართველი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ 22 ამ თთვისას გორში აპირებენ გამართონ წარმოდგენა მომავალ ქართულის ღედათა სკოლის სასარგებლოდ.

*** საყურადღებოდ მიგვაჩნია შევატყობინოთ ჩვენს მკითხველებს, რა შემოსავალი ჰქონია კავკასიის სამეურნეო გამოფენას გამართვის დღიდგან წარსულ ორშაბათამდე: მანათიანი ბილეთები გაყიდულა პირველს ოთხ დღეში და შემდეგ ორშაბათს 2008 მან. და 44 კაპ., ათ შაურიანი ბილეთები —97 მან. და 80 კაპ., ექვს შაურიანი ბილეთები—7982 მან. და 40 კაპ., აბაზიანი ბილეთები გაყიდულა კვირაობით —4845 მან. და 78 კაპ. სულ 14,934 მანეთი და 42 კაპეიკი. ამას გარდა გამოფენას სხვა შემოსავალიცა ჰქონია: მაგალითად, აბონემენტების ბილეთებისა ფულიათ 974 მან. და 50 კაპ., გამოფენის ხელსამძღვანო წიგნისა—306 მან. 75 კაპ., ბუფეტის მოგების მეოცე ნაწილი, რომელსაც გამოფენის კომიტეტი იღებს, შემდგარა 835 მან. 34 კაპ., ექსპონენტებისთვის მიუყიდნიათ საექსპონენტო ნიშნები, თითო ათ შაურად, სულ 296 მან. და 95 კაპ., გამოფენაში გაყიდულ ნივთების 5% ფულიათ 219 მან. 32 კაპ., სხვადასხვა შემოსავალი ყოფილა 318 მან. 61 კაპ. სულ სამეურნეო გამოფენას ამ თთვის 9-მდე შემოსავალი 17,878 მანეთი და 89 კაპეიკი ჰქონია.

*** გასულ კვირას გამოფენაზე სულ 14,750 ადამიანი ყოფილა, ხოლო 15 სექტემბრიდგან 9 ოქტომბრამდეკი სულ 58,426 კაცი.

*** ამას წინად ჩვენს მკითხველებს ვაცნობეთ, რომ რადგანაც პეტერბურგში 400,000 მან. ყალბი ოც-და-ხუთ მანათიანი აღმოაჩინეს ამიტომ ამ ფულს აღარავინ იღებს, გარდა სახელმწიფო ბანკისა და იმის განყოფილებათა და კანტორათა. ეს ბანკიც ოც-და-ხუთ მანეთიანის აღების დროს სინჯავს ფულს და თუ ფული ყალბი არ გამოდგა, უხურდავებს, და თუ ყალბია, მარტო ბარათს აძლევს მიმტანს, რომ ამა-და-ამ კაცისაგან ბანკმა 25 მანეთიანი ბილეთი მიიღო ამა-და-ამ ნომრისაო. ყალბის 25 მანეთიანის ნიშანი შემდეგია: ბილეთის ნუმერი ზის 636525, ლიტერები— А. Г., კასსირის სობოლევის ხელი არის მოწერილი და სათაურში სიტყვა „Государственный“-ში „е“ და „н“ ერთმანეთთან ახლო არის დაბეჭდილი. იმ ოც-და-ხუთ მანეთიანის გარდა არ უნდა მიიღოთ ახალი სამმანეთიანი, რომელსაც უზის ნუმერი 748582. ამას გარდა ამ ახლო ხანში პოლიციას აღმოუჩენია ხუთ-მანეთიანი ყალბი ბილეთებიც, მაგრამ ამ ფულის ყალბობის ნიშნები ჯერ არ ვიცით.

*** სოფ. ნატოხაო (სენაკის მაზრა): ნატოხაოელები ძალიან დაღონებულნი ვიყავით წრევანდელ ჭირნახულის მოუსავლობის გამო, მაგრამ ღმერთმა შეგვიბრალა და ცოტაოდენი სარჩო მაინც მოგვივიდა. იზაბელას ღვინო იმდენი მოვიდა, რომ ზოგიერთს ჭურჭელიც არ ეყო. თითქმის ყველგან უჩივიან ავ კაცობას, ციებ-ცხელებასა მაგრამ ჩვენს სოფელში, ღვთის იმედით, ჯერ-ჯერობით არც ავადმყოფობა და არც ქურდობა არა არსებობს.

*** დ. ახალ-სენაკი: ჩვენს დაბას არა უშავს-რა, რომ დიდი სიბინძურე არა სუფევდეს და წვიმის დროს ქუჩებში დიდი ტლაპოები არა დგებოდეს. ზოგიერთს ადგილას კაცი ისე ვერ გაივლის, რომ ცხვირზე ხელი არ მოიჭიროს. აქაურს ქუჩებში საღამოობით სიარული შეუძლებელია. მიხვეულ-მოხვეულ და ოღრო-ჩოღრო გზებზე ჩაჩავარდებით სადმე და კისერს მოიტეხთ. დაბას შეუძლიან, ვგონებთ, ოღრო-ჩოღრო ქუჩები შეასწოროს და ფარნებიც დადგას, სადაც საჭიროა. დროა, ყოველ ამას ყურადღება მიექცეს.

*** რაჭა: წასვლა და აღარ მოსვლა წრევანდელის წელიწადისა. პური ვისაც ორმოც-სამოცი კოდი მოსდიოდა, წელს ათი-ხუთმეტი კოდი ძლივს მოუვიდა. სიმინდმაც გვიღალატა, არც ეს მოგვსვლია რიგიანად და ღვინო ხომ სრულიად გასწყდა, ისე რომ წელს ღვინოს დანატრულებული ვიქნებით. სხვა დროს მეტი წილი ზემო რაჭისა საწერეთლო იმერეთიდგან ეზიდებოდა ღვინოს, მაგრამ წელს იმერეთსაც უმტყუნა ბედმა ღვინის მოუსავლობით. „კასრი“ (შეიდი თუნგი) უწინ ოთხ აბაზად იყიდებოდა და ეხლა-კი თურმეტ აბაზადაც შოვნა არ არის.

*** იქიდამვე: ზემო რაჭაში საქონლის ჭირი მძვინვარებს და დიდს ზარალსაც იძლევა. სოფ. შქმერში წარსულს წელს ქართლიდგან მოყვანილ საქონელს აღმოაჩნდა ჭირი და რამდენიმე ასი სული იმსხვერპლა. სოფელ შქმერი მთა ალაგია, ქერისა და თივის მეტი არა მოდის-რა და ამიტომაც მცხოვრებნი ბლომად ინახავდნენ საქონელს, მაგრამ წელს საქონლისაგანაც ხელ-ცარიელები დარჩნენ. საქონლის ჭირი სოფ. ბრაეალძალშიაც გადავიდა და დღესაც ბევრი იხოცება იქ. გარდა ბრაეალძლისა, საქონლის ჭირი შემდეგ სოფლებშიაც მძვინვარებს: ბარს, ფუტიეთს, შარდომეთს და სხვაგან.

## ფელეტონი

### ძალად ქორწილი

(სურათი სოფლის ცხოვრებიდგან)

I

ამ ორიოდე წლის წინად სოფელ მ—ში სცხოვრობდა ერთი მანდილოსანი ქვრივი, სახელად ნენე. ნენე ძალიან მხნე დედაკაცი იყო. არას დროს არ დადგებოდა უსაქმოდ მისი ხელფეხი, სულ მუდამ გარჯილობაში იყო. ამისათვის სოფელში ნენეს ყველა პატივსა სცემდა. ნენემ თავისის მხნეობით ოც-და-ათ თუმნამდე ვალიც (ეს ვალი ქმარმა დაუგდო) გადაიხადა და ოჯახიც კარგად მოაწყო.

გადიოდა დრო და ეს ჩვენი მანდილოსანი ნენეც თანდათან ბერდებოდა, უკან-უკან მიდიოდა და კარგად ჰგრძნობდა, რომ იმდენი შრომა და ჯაფა აღარ შეუძლიან, რამდენიც უწინ. აი ამისათვის ნენე სულ იმასლა ჰფიქრობდა, რომ რაც შეიძლება მალე, თავის სიცოცხლეშივე, ამოერჩია ერთი კარგი მხნე ქალი და თავის ილოსათვის ცოლი შეერთო.

— შვილო, გენაცვალოს დედაი, უნდა ერთი კარგი ქალი აგირჩიო და შეგრთო. მე, ხომ მხედავ, აღარა ვარ, უკან-უკან მივდივარ; რომ მოვკვდე, ხომ აგიოხრდა და სულ მალად წაგიხდა სახლ-კარი,—ხშირად ეტყოდა ხოლმე ჩივჩივით ნენე თავის შვილს ილოს, თუმცა ილო ცოლის შერთვაზედ განგებ უარს ამბობდა.

აღდგომის მეორე დღეა, სოფელ დ—ში მღვთის - მშობლის დღეობაა. დიდ-ძალ ხალხს მოუყრია სალოცავად თავი. დილა ადრიანად ნენე და ილოც მოვიდნენ ამ დღეობას, ისე სალოცავად არა, როგორც ქალების გასასინჯად. წირვაც გამოვიდა. ხალხში ასტყდა რაღაც კიჟინა და ღრიანცელი და იქ ჭიდაობა გაიმართა, აქ ქალებმა დაჰკრეს დაირა და დაიწყეს თამაში; იქ კიდევ არღნები აჰყვიტინეს. ჩვენი ნენე შიგ შუაგულ ქალებში გამოიჭიმა და დაუწყო სინჯვა. ილოც იქვე ქალებს ახლო იდგა. აი მოცეკვავეთა შორის გამოვარდა უცებ ერთი კარგი თვალ-ტანადი ქალი თამრო და დაიწყო მშვენივრად ცეკვა ნენეს თამრო ძალიან მოეწონა და იმ წამსვე გადასწყვიტა თავის გულში ილოსთვის შეერთო ცოლად, მაგრამ ის-კი არ იცოდა საცოდავმა, რომ თამროს სულ სხვა უყვარდა და სხვისთვის უძგერდა გული.

საღამო ხანზედ ერი დაიშალა, ყველა თავ-თავის სახლში წავიდა და ნენემკი თამროს დედას სალომეს მაჭანკალი მიუგზავნა. სალომემ ნენე და ილო სახლში მიიპატიჟა. ილო სასიძოროს სახლში ძალიან მორცხვობდა და თუმცა ტახტზედ თავ-ჩაღუნული იყო ჩამომჯდარი, მაგრამ ცალი თვალით ჩუმად თამროს გადაჰხედავდა ხოლმე.

ილოს ძალიან მოსწონდა თამრო. სალომესაც მოსწონდა სასიძო. თამრო-კი დაღვრემილი იჯდა კუთხეში, რადგანაც ილო სრულიადაც არ მოსდიოდა თვალში, და სულ სხვაზედ ჰფიქრობდა. ან რა უნდა ექმნა საწყალს? უარი ეთქვა, ილოს არ შეერთავო? ეს ხომ დიდი სირცხვილი იქნებოდა. გლეხებში დიდი სირცხვილია ქალისთვის, თუ მშობლებისაგან ამორჩეული სასიძო დაიწუნა. ნენეს და სალომეს მორიგებაზედ ბევრი ლაპარაკი აღარ დასჭირებიათ და გადასწყვიტეს იმ ღამესვე ნიშნობა გაეჩაღებინათ. მალე ვახშმობის დროც მოვიდა. ვახშამზედ ილომ ამოიღო ჯიბიდგან სამი თუმანი და მისცა ბეი თამროს.

მეორე დღეს, დილა ადრიანად, ილო თავის დედით მხიარული დაბრუნდა თავის სახლში.

ნიშნობის მესამე დღეს უცებ გარდაიცვალა თამროს დედა სალომე. სალომეს ასეთმა მოულოდნელმა სიკვდილმა ძალიან გააოცა მეზობლები. მათ შორის აი რა სიტყვებს გაიგონებდით:

— საიდგან რა გამოუტყვრა სალსალამათს, თქვენი ჭირიმეთ, და რა დაემართა საბრალოს!?

ვინ რას მოიფიქრებდა, რომ სალომეს მკვლელი კაკო, თამროს მამიდაშვილი, იქნებოდა. კაკო თამროს დანიშვნის დროს სხვაგან იყო. ნიშნობის მეორე დღეს, საღამოთი, კაკო შინ მოვიდა და შეიტყო, რომ სალომეს თამრო ილოზედ დაუნიშნავს. კაკოს ეს ძალიან ეწყინა, რადგანაც თამროს ურიგებდა ერთ კარგს შეძლებულ გლეხ-კაცს გიგოს, რომელიც ერთ მებატონესთან მოურავად იყო. თამროს ძალიან მოსწონდა გიგო და ქმრადაც სურდა. აი ამისათვის კაკომ იმ ღამეს მოსწამლა თავისი ძალუა სალომე, რომელიც სამუდამოდ წუთი სოფელს გამოესალმა.

კაკო ამ საზიზღარის საქმის ჩადენის დროს აი რას ჰფიქრობდა: მოდი ძალუაჩემს მოვკლავ და მაშინ დამშლელი ხომ აღარავინ მეყოლება: ილოს ხელს ავალებინებ თამროზედ და გიგოზედ გადავუსწერ ჯვარსაო.

II

ხუთშაბათი დღეა. მიცვალებულის სახლი ხალხით სავსეა. ჭირისუფალნი საზარელის ხმით სტირიან. ამ ტირილში, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები ისმოდა:

— რა ძნელი საქმე მოგივიდა, შე საცოდავო სალომე! წვითა და დაგვით გამოზარდე თამრო და მაგის გვირგვინს-კი ველარ მოესწარ!

ილოც თავ-ჩაღუნული და თვალცრემლიანი იდგა ჭირისუფლების გვერდზედ. აი შუადღემაც მოატანა და საწყალს სალომეს საფლავში, კუბოზედ, მიწის გორახებს რახა-რუხი გაჰქონდა.

ქელეხი გათავდა. ქელეხში მიწვეულნი თავიანთ სახლებში წავიდნენ. ილომაც დააპირა თავის სახლში წასვლა.

თამროს დებმა უთხრეს ილოს:

— აბა, ვინძლო, სადანახვისოდ უეჭველად მოემზადო, ამოხვიდე და თამროზე ჯვარი დაიწეროო.

თქვენს მტერს მოსწყდეს წელი, როგორც ამ სიტყვების გაგონებაზედ თამროს წელი მოსწყდა. აღარც აცია და აღარც აცხელა, ავიდა თავიანთ სახლის ბანზედ და იქიდგან გადმოვარდა. კიდევ კარგი, რომ ბანი დაბალი იყო, თორემ, შენი მტერი, თამრო ერთის თვალის დახამხამებაზედ სულს გააბნევდა.

წივილ - კივილით დებმა თამრო გულ-წასული შინ შემოიტანეს, ტახტზედ დასდეს, როგორც იყო, მოაბრუნეს და ჰკითხეს:

— ქალო, რა დაგემართა, რაზედ იკლავდი თავსაო?

ჯერ თამრო ხმას არ იღებდა, მაგრამ რომ ჩააცივდნენ, უთხრა თავის დებს:

— მე ილო ქმრად არა მსურს და მაშ თავი მოსაკლავი არა მაქვს?! ძალად ჯვარი უნდა გადამწეროთ?

ამის გაგონებაზედ ილოს თავსბრუ დაესხა, მაგრამ რას იზამდა საწყალი? დაღონებული და დაძმარებული ჩა-

## ქართული თეატრი

ცხოვრების მეჯლისზედ, ოთხ-მოქმედებიანი დრამა, კ. ნასიძის თარგმანი.

ქართველმა არტისტებმა გუშინ, ქ-ნ ბ. ავალოვის ბენეფისში, ახალი დრამა ითამაშეს „ცხოვრების მეჯლისზედ“. შინაარსით დრამა მაგდენი არაფერია: ელენე თავს ანებებს ქმარს და ნიკოლოოზ ვერგინაშვილთან—ბ-ნი შათირიშვილი გადადის საცხოვრებლად. შემდეგ გაჭირება იძულებულს ჰყოფს ამ საყვარელს გასცეს თავი დაანებოს და პავლე ვერაგოვთან—ბ-ნ ი. ცაგარელთან დაიწყოს ცხოვრება, მდიდარს მექარხნესთან. ამასობაში ქმარი დიდს ტანჯვა-წამებაშია, გონებიდგან იშლება, თავისი ცოლი მეტად უყვარს და იმის ნახვას არის მონატრული. ცოლიც აფასებს თავისს ქმარს, რაკი ცხოვრების ათასს უკუღმართობას გამოივლის და გამოსცდის, ჰნანობს კიდეც თავისს დაუფიქრებელს საქციელს და არც შერიგებაზედ იტყვის უარს. ეს სინანული და დანაშაული ისე ჰქენჯნის, რომ თავის მოწამლვასაც აპირობს, მაგრამ სიცოცხლის სიტკბოება მაინც კიდევ სძლევს და ვერა ჰბედავს. ბოლოს ცოლ-ქმარნიც შეიყრებიან, შერიგება თითქმის უნდა მოხდეს კიდეც, მაგრამ ცოლს სახე-შეშლილი, ჭკალარა-შერეული ქმარი აშინებს თავისის შეხედულობით, უკან იხევს, ქმარი-კი რევოლვერს ესვრის და ჰკლავს. მოქმედთა პირთა შუა ტრიალებს ბერიკაცი ისიდორე გაიმვერაშვილი—ვ. აბაშიძე, მდიდარი ვაჭარი ოსეფ პატპლუტიანცი—ბ-ნი კანდელაკი, თავადი უშტვინაძე—ბ-ნი გედევანოვი, ელისაბედი, ელენეს დედინაცვალი,—ქ-ნი კახიძისა და სვიმონის გამზრდელი მარინე—ჩერქეზიშვილისა.

არტისტებმა, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დრამა მელოდრამად აქციეს: სვიმონიძე თითქმის პირველს მოქმედებაშივე მოჰქონდა დაუბოლოვებელს ოხვრასა, გმინვასა და საყელოში ხელის წავლებას. სცენაზე დაუსრულებელი ღმუილი გაისმოდა და მეტად ეხამუშებოდა ყურს. ბ ნი გუნია უფრო უკეთ შეასრულებდა თავისს როლს, რომ დრამატიზმი ნელნელა გაეძლიერებინა, პირველ-მოქმედებაშივე საშინელს მწუხარებას არ მისცემოდა და ამ მხრივ ცოტა უფრო თავდაჭერილი ყოფილიყო. არა უჭირდა-რა მეოთხე მოქმედებაში, მაშინ, როცა ცოლს ელაპარაკებოდა, მაგრამ ეს სცენაც ფარდის უდროვო-დროს ჩამოშვებამ ერთიან წაახდინა.

ქ-ნი ავალოვისა—ნელლი თავის როლში არ იყო, არაფრითა ჰგავანდა ცქრიალა და ქარაფშუტა ქალს, რომელიც პეპელასავით ერთის ყვავილიდგან მეორეზედა ჰფრინავს, და მეტად დაფიქრებული და დამჯდარი ხასიათი მიეცა როლისთვის. ნელლის რომ ასეთი ხასიათი ჰქონოდა, არც ისე ადვილად უღალატებდა ჯერ ქმარს და მერე ვერგინაშვილს, ამ თავისს საყვარელს კაცს.

ვერგინაშვილი—ბ-ნი შათირიშვილი სცენაზედ პირველად იყო გამოსული, მეტად ახალგაზდა და გამოუწვრთნელი არტისტია და, რაღათქმაუნდა, იდეალითა და ქალის სიყვარულით გატაცებულისა და შეუვარებულ უმწვილის კაცის როლს ადვილად ვერ დასძლევდა. არტისტმა სცენაზედ თავის დაჭერა სულ ვერ შესძლო, ხელებს ერთავად წინ იჭერდა უმოძრაოდ, ფეხები არ იცოდა სად წაელო და თავსაც დაუბოლოვებლად აქეთ-იქით აქნევდა. ბ-ნი შათირიშვილი კარგს იზამდა, რომ თავისი სასცენო მოღვაწეობა უფრო მცირე როლით დაეწყო.

დანარჩენს არტისტებს მკითხველები კარგად იცნობენ და არც ისეთი როლები ჰქონდათ, რომ გამოეჩინათ თავი. ქ-ნი კახიძისა, ბ-ნი ი. ცაგარელი და ბ-ნი გედევანოვი მეტად უმნიშვნელო როლებს თამაშობდნენ და იმათზედ არა ითქმის-რა.

მაყურებელმა ისევ ბ-ნ აბაშიძისა და ქ-ნ ჩერქეზიშვილის თამაშობაზედ მოასვენა თვალი, მით უმეტეს, რომ წარმოდგენაში მონაწილეობას არ იღებდნენ საზოგადოების საყვარელი არტისტები: ქ-ნი მ. საფაროვისა, ქ-ნი ნ. გაბუნია და ბ-ნი კ. ყიფიანი.

კასიდ აბაშიძემ სწორედ ადგილებში მოიყვანა საზოგადოება თავისის ხელოვნურის თამაშობით და სწორედ ის იყო ამ საღამოს გმირი. ლამაზად თამაშობდა აგრეთვე ქ-ნი ჩერქეზიშვილისა გამზრდელის მარინეს როლს. ამ არტისტ-ქალს შესანიშნავი ნიჭის ნიშანწყალი ეტყობა და სწორედ ასიამოვნა კიდეც საზოგადოება თავისის ზომიერის და გადაუჭარბებელის თამაშობით.

ორიოდე სიტყვა ბ-ნ კანდელაკზედაც უნდა ითქვას: ამ ახალგაზდა არტისტს საქმის მეცადინეობა და ხალისი ეტყობა, ვაჭრის პატპლუტიანცის როლი გვარიანად შეასრულა, ცოტა რომ უფრო დამჯდარი ხასიათი ჰქონოდა. საზოგადოდ, ეს არტისტი იმედს იძლევა; თავისს სათამაშო როლებს გულმოდგინედ ეკიდება და გამოსადეგი მოთამაშეც შეიქმნება ჩვენის სცენისათვის, თუ გული არ აიცრუა.

ქ-ნ ავალოვისას მიართვეს თაიგული და ფული კონვერტით. თეატრში ხალხი საკმაოდ იყო. პიესის შემდეგ ლაზათიანად ითამაშეს ლევური ქ-ნმა კახიძისამ და ჩერქეზიშვილისამ.

მანოელ-ძე

---

## შენიშვნა

ამას წინად „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი ერთი აზიური ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა ქვეყნად აბრეშუმის ჭიაო. ამ გვარი რამ იმავე ჭიის შესახებ ქართველებსაცა გვაქვს და, რადგანაც ზოგს არ ექნება გაგონილი, უნდა მოვიხსენიოთ. ვინ არ იცის, რომ ქართველების სახალხო პოეზია მდიდარია. ჩვენი ზეპირ-გადმოცემანი დიდად საგულისხმო და საცნაურია. ვსწუხვარ, რომ ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოება“ ცალ-ყბად უყურებს და სპეციალურად . გულდაგულ არ ჰკრეფს მათ!.. ვერც სხვა-და-სხვა წიგნის გამოცემით, ვერც სკოლებით იმდენს ვერას შეგვძენს „საზოგადოება“, რამდენსაც დაგვავალებს სახალხო პოეზიის მოკრეფებით!.. შემდეგისათვის ამის გადადება არ ვარგა: რაც მალე შეუდგებიან საქმეს, ისა სჯობს ახალმა დრომ ჩვენი ცხოვრება შესცვალა, ქვეყანას გული გადაუბრუნდა, ხალხს გუნება ეცვალა და, რაც ადრე საზოგადო და ხშირი იყო, ის ეხლა იშვიათი და კერძო შეიქმნა... ამავე ქანჩში მოჰყვა სახალხო პოეზიაც. ვისა აქვს იმისი დრო და თავი, გადაავიწყდა სალხს და თუ კიდევ სადმე იგონებენ, იმისთანა ბედნიერს მიყრუებულს კუთხეებში, სადაც აქციზი და ადვოკატი სახსად ჭირად მიაჩნიათ... დღეს თუ ხვალ იქაც დაივიწყებენ, და ამიტომ ვამბობ, რომ დაგვიანება საშიშია-მეთქი. უცხო ქვეყნის ხალხმა რომ იცოდეს, თუ რა მნიშვნელობიანია ქართული სახალხო პოეზია, არა მარტო ქართველებისათვის, სხვა ხალხებისათვისაც-კი, მაშინ, უეჭველია, კერძო საზოგადოებას შეადგენდნენ იმის მოსაპოვებლად. ჩვენ-კი არაფრად მიგვაჩნია და გულგრილად ვეკიდებით. ტყუილი-კი არ უთქვამთ: „შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვსო“. განა არ მოხერხდებოდა, რომ ჩვენშიაც შემდგარიყო საზოგადოება მაგ აზრით და საშვილიშვილო საქმე გაეკეთებინა? კი, მაგრამ ან მთქმელი სადა გვყავს და ან გამგონე? მაგრამ უკაცრავოდ!.. ჭიის ლეგენდას დავპირდით და მე-კი გადავუხვიე!.. ეს გულმავიწყობით-კი არ მომსვლია, გულ-და-წყვეტილობის ბრალია, და ეხლა-კი, ბოდიშის მოხდით, მივუბრუნდები ისევ იმ ლეგენდას. მითუმეტეს შესანიშნავი თქმულობა არა არის-რა დაბადებაში, რომ ქართულად არ იყოს გაშაირებული, და მათ შორის „იობის“ ამბავიც. ეს შაირი იწყება ამ ლექსით:

იობს ჰყავდა შვიდი ვაჟი,
სამი ქალიც სახე მზისა;
ყველა ერთს დღეს დაეხოცა,
მან არა სთქვა მძიმე ღვთისა.
„აღბად ღმერთთან შემცოდე ვარო,
მომტირალს ცოლს ეუბნება:
ღმერთმა მოგვცა, ღმერთსვე მიჰყავს,
კურთხეულ არს მისი ნება.“ და სხ.

ორმოცი წელიწადია მას აქეთ, რაც ეს შაირი გამიგონია... პავშობისას ზეპირადაც ვიცოდი, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ეხლა ვეღარ მომიგონებია. აზრი-კი მახსოვს... სულ ამ ზემო მოყვანილ შაირის მსგავსად არის დახატული იობის ტანჯვა და მისი მოთმინება; როგორ აყროლდა ზეზეულად, როგორ ეხვეოდნენ ჭია-მატლები და სხვანი... ბოლოს მოიბრუნა ღმერთმა გული და უბრძანა ანგელოზს: „წადი ეს ერთი ჯამი წყალი და იობს გადაავლეო!“ ანგელოზმა, რასაკვირველია, აასრულა ბძანება ღვთისა და იობიც გამთელდა: მატლები მოშორდნენ და წყლულიც შეხორცდა. მაშინ ჩამოვიდა მაღლით ღრუბელი და ის იობის ნაბანი შეიწოვა, რომ, გაზაფხულობის დროს, იმ ნაბანის წვეთი წვიმაში გამოურიოს და უფრო მადლ-მომნიჭებლად ასხუროს დედამიწას. სადაც ის წვეთი დაეცემა, იქ უკვდავების წყარო (სამკურნალო) გაჩნდება ხოლმე.. იობს რომ უცნაური ჭია-მატლები ეხვეოდნენ, ისინი აღარ გასწყვიტა იობმა და შეევედრა ღმერთს: ნუ მოსპობ ამათ!.. მიანიჭე მადლი, რომ ადამიანის სასარგებლო გახდენო!.. ღმერთმაც უსმინა და ესენი არიან: ფუტკარი, წურბელა, ბრაზის ჭია და სხ... და ამათ რიცხვშია ის ჭიაც, რომელიც იობზე ცოცხლდა და, არა თუ სამოსელი, კანიც შემოაჭამა, ე. ი. აბრეშუმის ჭია. იმ დღიდგან ის გულმუცლიდგან იხვეწავს მაფს, რომ ადამიანი შემოსოს!..

აი, ეს გახლავთ ჩვენში აბრეშუმის ჭიაზე ლეგენდა, და ახლა გთხოვთ შეადაროთ იმ აზიურს ლეგენდას!

ბაბუ

---

მოვიდა დ—გან თავისს სახლში, მ—ში.

ილო ჯავრისაგან იმ დღესვე გახდა ავად და ლოგინში ჩაწვა. ნენეს გულს შემოეყარა, თავისი შვილი ავადმყოფი და ლოგინში მწოლარე რომ დაინახა, და ჰკითხა:

— შვილო, რა დაგემართა, რათა ხარ ავად? ხომ არავინ მოგწამლა, ჯადო ხომ არავინ გიყო?..

ილომ დედას ხმა არ გასცა.

ნენემ ხან ძმარში დასველებული კომბოსტოს ფოთლები დაადო ილოს თავზედ, ხან პიტნის ჩაი დაალევინა, მაგრამ ილომ მაინც კიდევ ხმა არ გასცა დედას. ნენე მაინც არ მოეშვა შვილს:

— გენაცვალოს დედაი, მითხარ, შვილო, რათა ხარ ავად, თორემ თავს მოვიკლავ.

— ეჰ, დედი! დავიღუპენით და დავიქეცით. ჩემი დანიშნული მტერს შეუკვეწტლავს და აღარ მნდომულობს ქმრად, ჯვარის დაწერაზედ უარს ამბობს; ეტყობა, იმას სხვა ჰყავს ამორჩეული ქმრადაო, როგორც იყო წაილუღლუღა ბოლოს საცოდავმა ილომ.

— შვილო, მოგიკვდეს დედაი, მაგაზედ რასა სწუხარ, უთხრა ნენემ თავის შვილს: მტრის გულისად არ გაგხდი, ხვალვე მკითხავთან წავალ, ვაკითხვინებ და შევიტყობ მაგის მიზეზს.

იმ ღამეს ვაითა და ვაგლახით გაათენეს დედა-შვილით.

მეორე დღეს, დილა ადრიან, ნენე მკითხავის კარებთან იყო ატუზული. მკითხავმა ნენე როდის-როდის სახლში შეიწვია (იმ დღეს მკითხავს ბევრი მუშტარი ჰყავნდა), გამოართვა ერთი თეთრი აბაზი თავის გასამრჯელო, ქალის ნიშანი, წყვილი წმინდა სანთელი და, რომ გამოჰკითხა საქმის გარემოება და ყველაფერი კარგად შეიტყო, დაიწყო უმსგავსად ჯლოყინი:

— ქალისთვის მტერს ტანისამოსზედ მგლის ქონი მოუსვია. ამისათვის სამეფო ქალს მგლის თვალზედ დაუნახავს და შესჯავრებია. ქალის ტანისამოსი გახურებულს თონეში უნდა დასწვათ და მაშინ სამეფოს შეიყვარებს და ჯვრის დაწერაზედაც სურვილს გამოაცხადებსო,

ეს სიტყვები, ცოტა არ იყოს, ნენეს ჰკუაში მოუვიდა და გახარებული იმ წამსვე შინისკენ გამოეშურა.

შევიდა თუ არა შინ, ნენემ ყველაფერი დაწვრილებით თავის ილოს უამბო. ამ ამბავმა ილოც ძალიან გაახარა.

### III

დედამ და შვილმა დ—ს მალე კაცი აფრინეს თამროს დებთან და შეუთვალეს: მკითხავს ვაკითხვინეთ და იმან გვითხრა, რომ მტერს ქალისთვის ტანისამოსზედ მგლის ქონი მოუსვია და იმისთვის ქალს სამეფო შესჯავრებიაო. ქალს ტანისამოსი უნდა გახადოთ, თონეში დასწვათ და მაშინ შეიყვარებს სამეფოს და ჯვარის დაწერის სურვილსაც გამოაცხადებსო.

თამროს დებს ტუჩებზედ ღიმი მოუვიდათ, იმ წამსვე გაახურეს თონე, გახადეს ძალად საწყალ თამროს ტანისამოსი და ამ გახურებულს თონეში ჩაწვეს.

ტანისამოსის დაწვამ უფრო გადარია თამრო და სულ ამას გაიძახოდა:

— არ მინდა ილო ქმრად და ვერც შევირთავ. ძალად ხომ არ შემრთავთ, თქვენი ჭირიმეთ! ეგეც ხომ ნიშნობა არ არის. ნუ დაჰყრია კარგი და კეთილი დედაჩემს იმ გრძელ სოფელს, რომ მე ილოს გადამკიდა და ძალად დამნიშნა.

ამ სიტყვებმა ძალიან დაალონა თამროს ძმა და დები, მაგრამ რას იზამდნენ? ადგნენ, ილოს კაცი გამოუგზავნეს და შემოუთვალეს: ჩვენ ჩვენი ვეცადეთ და ქალი ვერ დავითანხმეთ, შენზედ ჯვარის დაწერის უარს ამბობსო.

ამ ამბავმა გულ-ღვიძლი ჩაუთუთქა ილოს. ილო კარგადა ჰგრძნობდა, რა მოჰყვებოდა ამ საქმეს, და ამისათვის უთხრა თავის დედას:

— მოდი, დედი, და თავს დავანებებ ჩემს დანიშნულს თამროს. თითონაც უარს არის ჩემს ქმრობაზედ და, თუნდაც რომ ჯვარის დაწერაზედაც დაგვეთანხმდეს, მაინც ჩვენ ის არას გამოგვადგება. არ გაგიგონია: „ნაძალადევი არა ვარგა-რაო“.

ნენემ კეწნია მოიკიდა და უთხრა შვილს:

— როგორ თუ თავს დაანებებ, შვილო!? მტერმა რომ შეიშურა ჩვენთვის ის ქალი, იმისათვის დაანებებ თავს? უწინამც დღე დამლევია, რომ შენ იმისათვის თავი არ დაგანებებინო. წავალ და კიდევ მკითხავს ვაკითხვინებ.

### IV

ნენემ მეორედ კიდევ მკითხავს აკითხვინა. აი რა უთხრა მკითხავმა:

— თქვენის სახლის გვერდზედ, ერთი კუდიანი ქერივი დედაკაცი რომ სდგას, იმას თავის ნათესავისათვის ნდომებია თამრო ცოლად და რა-კი ის თქვენ დაგინიშნავთ, იმ შეჩვენებულს თამროსთვის ჯადო გაუკეთებია. თამროს უნდა დაალევინოთ იმ კუდიანის დედაკაცის ხელის ნაბანი, იმავე კუდიან დედაკაცს ტანისამოსზედ უნდა ააჭრათ პატარა ნაჭერი, ცეცხლში კარგად დასწვათ, წყალში გახსნათ და ისიც დაალევინოთ თამროს. მაშინ თამროს ძალიან შეუყვარდება შენი შვილი და გაჩაღდება ქორწილიო.

ნენემ იმ ქვრივ დედაკაცს შეუჩინა ერთი თავისი მეზობელი, რომელმაც იმისი ხელის ნაბანიცა და იმის ტანისამოსზედ აჭრილი ნაჭერიც მოუტანა.

ნენემ ეს ნაჭერი დასწვა, გახსნა წყალში და ერთს ჩარექაში ჩაასხა, ხოლო ხელის ნაბანი—მეორე ჩარექაში. ეს წამლები ნენემ გაუგზავნა თამროს დებს და შეუთვალა: აი ამ წამლებს გიგზავნით, მკითხავმა მასწავლა. ერთის ჩარექის წყალი ერთს დღეს დაალევინეთ თამროს, ხოლო მეორე ჩარექისა მეორე დღეს და მალე შეგვატყობინეთ, არგო თუ არა ამ წამალმაო.

თუმცა თამროს დებიც ისე მოიქცნენ, როგორც ნენემ შეუთვალა: დაალევინეს კიდეც თამროს ზემოდ მოხსენებული წამლები, მაგრამ ამ წამლებმაც ვერა უშველა-რა და ის მაინც უარს ამბობდა ილოს შერთვაზედ.

ძლიერ შეწუხდნენ ნენე და იმისი შვილი ილო, თამროს დებისაგან რომ ეს ამბავი მოუვიდათ.

ნენემ თავისი არ დაიშალა და ახლა სხვა ღონის-ძიებას მიჰმართა: ჯერ სადედოფლოს შეუყენა იმისივე სოფლის მღვდელი, რომელმაც ბევრი ურჩია თამროს, ილო შეირთეო, მაგრამ თამრო თავისას გაიძახოდა:

— ჩემის ცოცხალის თავით არ მინდა ილო ქმრადაო.

ამითი რომ ვერას გახდნენ, ახლა ილომ და ნენემ თამროს შეუყენეს თავიანთ სოფლის მებატონე—დავით ილარიონიჩი. დავით ილარიონიჩმაც, თუმცა ბევრი ურჩია თამროს, ილო კარგი კაცია, ნუ სწუნობ, მაგრამ

# რუსეთი

ს.-პეტერბურგის ქალაქის თავმა ამას წინად მიაქცია ქალაქის საბჭოს ყურადღება მოზარდის თაობის ჯანისა და ღონის სისუსტეს. იმისის სიტყვით, პეტერბურგის მოზარდ ყმაწვილებაში ნახევარიც არ გამოდგება როლმე სამხედრო სამსახურისათვის, რადგანაც უმეტეს ნაწილს რიგიანი გულმკერდი არა აქვს და გულის ტკივილი დასჩემებია. სამწუხარო ის არის, რომ ეს უბედურება ყოველ წელს უფრო ძლიერდება თითქმის 12% თაო. ქალაქის მკურნალებსაც შეუმჩნევიათ ეს გარემოება. იმათის გამოკვლევითაც ძალიან არის გავრცელებული გულის ტკივილი და ჯანის სისუსტე უფრო საქალაქო სკოლებში, როგორც სავაჟებოში, ისე საქალებოშიაც. ქალაქის თავის აზრით, ეს ამბავი დიდი უბედურებაა და საჭიროა მხნედ შევებრძოლოთ. მაგრამ რადგანაც ამის მიზეზი ძალიან რთულიაო, ამისათვის თავდა-პირველად სკოლებში უნდა დავიწყოთ ბრძოლა და ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ჭკუა-გონების ვარჯიშთან არ დავივიწყოთ ჯანისა და ღონის ვარჯიშიცაო. ასეთი ვარჯიში საჭიროა როგორც ვაჟთათვის, ისე პატარა ქალთათვისაც, რადგან სუსტი და ჯან-მილეული ადამიანი ცდილობაში ვერ აღზრდის ჯან-მთელს თაობასაო. ამის მიხედვით ქალაქის თავმა მისცა წინადადება ქალაქის საბჭოს, რომ იმან წარუდგინოს ამ წლის დამლევს სახალხო განათლების კომისიას ამ საქმის შესახები მოსაზრება.

ზემოხსენებული საგანიო, ამბობს გაზეთი „Русскія Вѣдомости“: მარტო პეტერბურგს-კი არა, არამედ მოსკოვსაცა და საზოგადოდ ყველა დიდს ქალაქსაც შეეხებაო. გამოუსადეგრობა ახალგაზდებისა ჯარის-კაცად და მერე სისუსტე ჯანისა, მეტადრე გულისა, მოსკოვის შუათანა და პირველ დასაწყისის სკოლების მოწაფეებსაც ემჩნევაო. ყოველ ამის ასაცილებლად უნდა გიმნასტიკა შემოიღონ სკოლებში და გიმნასტიკის საშუალებით ჰსურთ ავარჯიშონ ჯანი და სხეული მოზარდის თაობისა. მაგრამ სასურველია, რომ გაირჩეს, რაოდენი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს გიმნასტიკამ ჩვენს ახალს თაობას, თუ მისი სწავლება შემოიღეს ჩვენს სკოლებში, როგორც ახალი საგანი, და ამასთანავე დაარჩინეს შეუცვლელად ძველი პროგრამა ჩვენის სკოლებისა.

ამ ბოლოს დროს ჩვენს ოფიციალურს წრეებშიაც მოიპოვა თანაგრძნობა გიმნასტიკამ და დიდი ხანი არ არის, რაც მთავრობამ გამოაცხადა ინსტრუქცია, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს გიმნასტიკას საერო განათლების სამინისტროს სკოლებში. ამ ფრიად საყურადღებო საქმეშიო, განაგრძობს გაზეთი: დიდი სიფრთხილე გვმართებს. ნუ დაგვავიწყდებაო, რომ ჩვენს სასწავლებლებს ისეც ძალიან რთული პროგრამა აქვს და, გიმნასტიკაც რომ მოუმატოთ ყველა ამას, მაშინ ჩვენს ბავშვებს სულის ამოსუნთქვასაც-კი გაუძნელებთ და, მოსალოდნელ სარგებლობის მაგიერ, შეიძლება ბავშვებს დიდი ვნებაც მოვუტანოთო.

ძალიან საგულისხმოა აგრეთვე ამ შემთხვევაში წერილი ერთის ექიმისა, რომელიც გვიმტკიცებს, რომ თუ გვინდა გიმნასტიკამ გაგვიმართლოს იმედი და მოუტანოს ჩვენს ახალგაზდობას სარგებლობა, უნდა სიფრთხილით შევუფეროთ ყმაწვილის სიდიდ-პატარავეს, ჯანის სიმრთელესა და ღონეს. ამასთანავე უნდა შემცირდეს გონების სავარჯიშებელი საგნების სწავლებაცა, თორემ გიმნასტიკას შეუძლიან ძრიელ მოქანცოს მოსწავლე ახალგაზდობა.

ბ-ნ ლესგაფტს, გამოჩენილს მომხრეს გიმნასტიკისას, რომელსაც პეტერბურგის ქალაქის თავიც სრულის თანაგრძნობით ეპყრობა თავის მოხსენებაში, მოჰყავს სამაგალითოდ ინგლისის სკოლის წესები, სადაც სწავლის დრო არ აღემატება 22—25 საათს კვირაში და ამასთანავე „სათამაშოდაც“ დანიშნულია 15—27 სავალდებულო საათი. ეს „თამაშობა“, რასაკვირველია, არა ჰგავს იმ გიმნასტიკას, რომელსაც ხშირად ასწავლიან ოთახებში, არამედ არის ნამდვილი წამახალისებელი საქმე, რომელსაც ნამდვილად შეუძლიან განაახლოს და გააცოცხლოს ყმაწვილის სული და ხორცი. თამაშობა სახალისოდ მიაჩნია ბავშვს, ჰბადავს მათ შორის კეთილშობილურს ჯიბრობას, აჩენს ამხანაგობას, სიყვარულს ბუნებისასა და ისტორიისას, იწვევს ინტერესს, რომელიც ასე საჭიროა გონების სავარჯიშოდ და რომელიც, საუბედუროდ, ხშირად სუსტდება და ხან იკარგება ხოლმე კიდეც ზოგიერთ მასწავლებელთა სხოლასტიკურის სწავლების მეოხებით. სკოლას მოვალეობად აქვს არა მარტო გონების ვარჯიში მოსწავლეთა, არამედ იმისი აღზრდა და მომზადებაც ცხოვრებაში საშრომლად. ამიტომ იმან უნდა გაზომოს ყოველთვის ძალა თავის მოწაფეებისა და დრო, ეცადოს ხელი მოჰკიდოს იმას, რაც უპირველესად საჭიროა ცხოვრებისათვის, და ყველა დანარჩენი-კი უკუ აგდოს. მაშინ ყველაფრისთვის მოიპოვება საკმარისი დრო და ჯანისა და სხეულის ვარჯიშიც დიდს სარგებლობას შესძლებინ ქვეყანას...

# დეპეშა

10 ოქტომბერი

ბერლინი. რეიხსტაგმა დაიწყო მოქმედება. წაკითხულ იქმნა სეფე-სიტყვა. სეფე სიტყვაში ნათქვამია, რომ ამ სესიას რეიხსტაგისას საგნად ექნება დაიცვას მშვიდობიანობა შინ და გარეთაო. ამას გარდა რეიხსტაგისავე საქმეა დაეხმაროს იმათ, ვინცა სცდილობს ჯარი და მხედრობა მზადა ჰყვანდეს საომრადაო. მზად ყოფნა ჯარისა საჭიროა, რომ ძალა ჰქონდეს გერმანიას, რათა გაიყვანოს თავისი სურვილი მშვიდობიანობის დაცვისაო. სეფე-სიტყვაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ახალის წესით უნდა განაწილებულ იქმნას მხედრობა ქვეყნის სხვა-და-სხვა მხარეს შორისაო. ცხადად სჩანს აქედამ და აგრეთვე იმ გარემოებიდამაც, რომ ფლოტი კიდევ უნდა გაძლიერდეს, თუ რაოდენად საჭიროა ახალი ხარჯი ყოველ ამისათვის. შემდეგ სეფე-სიტყვაში ნათქვამია, რომ წარსულის რეიხსტაგის დათხოვნის დროს, იმედი იყო გამოთქმული მშვიდობიანობის უზრუნველ-ყოფის შესახებაო. ეს იმედი გამართლდა სრულიად და სავსებით, რადგან კეთილ ურთიერთობანი ისეთი ჰქონდა ჩვენს ქვეყანასა და მოკავშირე სახელმწიფოებს. ამ ურთიერთობათა წყალობით უცხოეთის სახელმწიფონი დარწმუნდნენ, რომ გერმანია გულწრფელად მოწადინებულია მშვიდობიანობას. ესეცა საბუთი მისი, რომ მერმისსაც მშვიდობიანობა არ შეირყევა დღევანდელ ხელ-შეკრულობათა მეოხებითაო.

პეტერბურგის ბირჟა, 6 ოქტომ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 74 |
| ტფამოუნის კუპონები . . | — „ | — „ | 154½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1 12 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 260 |
| —მეორისა . . . . . | 237 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუჸთ (1889) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდებ- 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

ოქტომბერი 31 დღით არის

12 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. ანდრონიკესი. კათოლ. წმ. მაქსიმილიანესი. სომეხ. წმ. ერმალასი.—დაინიშნა საქართველოს მთავარ-მართებლად გენ. ერმოლოვი, 1816 წ—ჭეშმარიტი შუადღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—24, ჩადის 5—5. დაბადება მთვარისა საღამოს 5 საათსა და 21 წუთს.

13 დღე პარასკევი.—წმ. მოწ. ბენიამინესი. კათ. ედუარდისა. სომეხ. მარხვა. მაჰმად. 1-ლი რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1307 წ. ჰეჯრისა.—დაამთავრეს სურამის გვირაბის გათხრა, 1888 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—25, ჩადის 5—4. მთვარე 2 დღისაა.

## ვამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჭვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და ყირიმში მეივლის.

---

თამრო მაინც ვერ დაითანხმა და ვერა.

ბოლოს რომ გაჯერდნენ და ვერაფერს გახდნენ, ილოს შემოუთვალეს სადედოფლოს ძმამ და დებმა.

— დანიშნულ დროს ამოდი და ჯვარი დაიწერე. თამროს, თუ ურს იტყვის, ჩვენ მოურიგდებითო.

V

დანახევისობა დღეს, გწყალობდეთ იმისი მადლი, ილო მ—დგან ღ—ს ავიდა თამროზედ ჯვარის დასაწერად. თამრომ რომ დაინახა ილო, უცებ კარში გავარდა და იქვე ახლო მდინარეში გადავარდა. უნდოდა თავი დაერჩო, მაგრამ მალე შესწრეს თვალი ნათესავებმა, გამოიყვანეს წყლიდგან და მოიყვანეს შინ. სახლში თამროს ძალიან სცემეს დიდის კეტით იმისმა ძმამა და დებმა.

ცალკე ცემისაგან და ცალკე ტირილისაგან დაოსებულს ცოცხალ-მკვდარს თამროს, როგორც იყო, ჩააცვეს იმისმა დებმა სადედოფლო ტანისამოსი და ძალად წაიყვანეს საყდარში ჯვარის დასაწერად. საყდარში შემოეხვივნენ ნათესავები, ძალად თავი დააკანჩურებინეს და გადასწერეს ჯვარი ილოზედ.

ჯვარის წერა რომ გათავდა, ილომ საჩქაროდ ჩაისვა თავისი მეუღლე ურემში და წამოიყვანა თავის სახლში.

სახლში ახლად ჯვარ-დაწერილთ დახვდნენ ნათესავები და ქორწილში მიწვეული სტუმრები, რომელთაც მეფე-დედოფალს მიულოცეს გაბედნიერება.

მეფის დედამ ნენემ, წითელ თავშალ - მოხვეულმა, ასე მიულოცა თავის შვილსა და რძალს:

— ღმერთმან გაგაბედნიეროთ, როგორც ერთი და ორი გაბედნიერებულა. ვენაცვალე ჩემ წილს მოწყალე ღმერთს, რომ მტრის გულისად არ გამხადა!

ქორწილმა ვერ ჩაიარა ისე მხიარულად, როგორც უნდოდა, რადგანაც პატარძალი, ცემისაგანა და დარდისაგან გრძნობა დაკარგული, თავჩაღუნული იჯდა და ჩუმად ქვითინებდა და სწუხდებოდა თავის გაჩენის დღეს.

ქორწილის მესამე დღეს თამრო, გულ-წასული, მომაკვდავივით იდო გაჭიმული ტახტზედ.

ნენემ რომ ამ მდგომარეობაში დაინახა პატარძალი, ერთი საშინლად შეჰკივლა:

— არიქათ, თქვენი ჭირიმეთ, მიშველეთ, ქალი მომკვდარა! მღვდელი! ჩქარა ვაზიაროთ!

ნენეს ხმაზედ სახლში შემოცვივდნენ მეზობლები და ნახეს, რომ ქალს გული წასვლოდა და მაჯა ძლივსღა უცემდა.

ნენე და იმისი მეზობლები ბევრს ეცადნენ თამრო როგორმე მოებრუნებინათ, მაგრამ ყოველი იმათი ცდა ამაო იყო: ქალი უგრძნობლად ეგდო ტახტზედ.

მალე მღვდელიც მოიყვანეს. მამა იოანნემ, როგორც იყო, წმინდა საიდუმლო მიაღებინა თამროს.

შეშინებულმა ნენემ და ილომ საჩქაროდ კაცი აფრინეს ღ—ს თამროს ძმასთან და დებთან, რომ ჩამოსულიყვნენ იმის სანახავად.

თამროს ძმები და დები მალე ჩამოვიდნენ ღ—გან მ—ს დის სანახავად.

თამრომ რომ დაინახა თავისი ძმა და დები, წამოხტა უცებ ფეხზედ და შესძახა:

— თქვენ გენაცვალეთ, წამიყვანეთ შინ, არ მინდა ილოსთან ყოფნა.

— როგორ თუ შინ წაგიყვანოთ, სთქვა გაჯავრებულმა თამროს ძმამ, მივარდა უცებ და იფნის სახრით გაჰკრელა საცოდავი.

თამრო მაინც თავისას არ იშლიდა და ამბობდა:

— გინდ რომ გულში თოფის ტყვიაც მესროლოთ, მაინც არ მინდა ილო ქმრად და ვერც ვიცხოვრებ მაგასთან.

გაათავა თუ არა ეს სიტყვები, თამროს გული წაუვიდა და ისევ ტახტზედ დაეცა.

აი აქეთ, აი იქით, ბევრს ეცადნენ შინაურები, მაგრამ თამროს ხმა ვერ ამოაღებინეს: გასუნთქული იდო ტახტზედ.

ამ მდგომარეობაში მთელი ხუთი დღე იყო საწყალი თამრო, არც არაფერსა სჭამდა, არცა სვამდა და არც ლაპარაკობდა.

გაჯავრებულმა ილომ და ნენემ თათრის მოლა მოიყვანეს თამროს მოსარჩენად. მოლა მთელი ერთი კვირა ულოცავდა და წამლებს ასმევდა თამროს, მაგრამ იმანაც ვერაფერი უშველა.

ბოლოს, მკითხავის სიტყვით, ნენემ და ილომ თამრო სამშობლოში ღ—ში მიიყვანეს და იქ ღვთის-მშობლის ეკკლესიაში ალოცეს.

ერთის კვირის შემდეგ ილომ და ნენემ შინისაკენ წამოსვლა დააპირეს, მაგრამ თამრო აღარ მოსდევდა. გაჯავრებულმა მისმა ძმამ და დებმა დაიჭირეს თამრო და ისე სცემეს, რომ კინაღამ არ მოკლეს. ცოცხალ-მკვდარი ჩაუსვეს, როგორც იყო, ილოს ურემში და გამოატანეს თავის სახლში.

ღ—გან ჩამოსვლა და თამროს ლოგინად ჩავარდნა ერთი იყო. მას აქეთ ერთავად ზერე-ქვერედ იყო და გამუდმებით ავადმყოფობდა. ეს ავადმყოფობა ბოლო დროს ჰლექად გადაექცა საბრალოს. გამოუწელებელი ჩემი სიცხე და საშინელი ხველა მოსვენებას არ აძლევდა. თამრო სულ უკან და უკან მიდიოდა და სააქაოს პირი აღარა ჰქონდა.

ზამთრის დღეა. სოფელ მ—ში რაღაც სიჩუმეა, რადგანაც ძალიან ცივა. ყველა თავის სახლში შეყუჟულა, გახურებულს ბუხარს მოსჯდომია და თბება. აი, უცებ სოფელში გაისმა ზარის ხმა, სამწუხარო გალობა: „წმინდაო ღმერთო“ და ხალხის ტირილი. აი, გლეხებიც შინიდგან გარედ გამოცვივდნენ, მოიხადეს ქუდები, დაიწერეს პირჯვარი და დაიწყეს იქითკენ ცქერა, საიდგანაც ტირილი ისმოდა. გაიდა რამდენიმე წამი და იმათ წინ გამოატარეს მიცვალებული, რომელსაც ეკკლესიაში მიასვენებდნენ ანდერძის ასაგებად. მიცვალებული იყო ჩვენი ახლად ჯვარ-დაწერილი საბრალო თამრო.

ამ სამწუხარო სურათმა ყველას გული ჩაუთუთქა. სოფელში ეს სიტყვები გაისმოდა:

— უი შენი ბრალიცა, საბრალო, ძალად მიკლულო თამრო! ღმერთმა გაცხონოს იმ სოფელს და ნუ მისცეს ღმერთმა კარგი და კეთილი იმათ, ვინც შენი აგრე უდროო სიკვდილის მიზეზი იყო!..

ზ. ოქუაშვილი

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამ-შაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ-შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერ-გერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—33)

ახლად გამართული ფოტოგრაფია

**ა. ს. როინაშვილისა**

მოთავსებულია ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

მიიღებს ყოველ გვარს ფოტოგრაფიულს საქმეებს იაფისა და ზომიერის ფასით.

იქვე ისყიდება სხვა-და-სხვა გვარი შესანიშნავი სურათები საქართველოსი და მთელის კავკასიისა,

(20—6)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბედი ქუბდურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა . . . | „ | 15 |
| **Я. Гогебашвили.** Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |

გორიჯვრის წმ. გიორგის ეკკლესიის კრებული ამით აცხადებს, რომ ამ თთვის 11 დანიშნულია ქ. გორში, სასულიერო სასწავლებლის ძველს შენობაში, იჯარით გაცემა ამ ეკკლესიის შეკეთებისა შენობებითურთ, რომლისათვისაც, თანხმად სმეტისა, აღრიცხულია 1843 მანეთი და 40 კაპეიკი. მსურველთ შეუძლიანთ წერილითაც გვაცნობონ თავისი აზრი. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ადგილობრივ მღვდელთან, სოფ. გორიჯვარში (ქ. გორს ახლო). თუ საჭიროება მოითხოვს, ვაჭრობა განმეორდება. (7—7)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ვაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ყდით . . . . . . . . | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . . . | „ | 70 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . | „ | 20 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ლამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ლამბაშიძისა. . . . . . . | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | ,, | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოყვარენი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . . | 3 | „ |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ლამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| დარგიება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . | „ | 10 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 3 |
| რუსულ-ქართული ლექსი- | | |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| კონი, მისივე. . . . | 3 | 60 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ლამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, | 20 |

დაზღვევა სიცოცხლისა

ზღვევის საზოგადოებაში, სახელწოდებით

## „რუსეთი“

უმაღლესად დამტკიცებულია 1881 წ.

დაზღვევა და უზრუნველ-ყოფა

ქონებისა და ფულისა მემკვიდრეთათვის;
პენსიისა ქვრივთათვის;
ქონებისა და ფულისა, რომელიც მოხუცებაში მიეცემა დამზღვეველს;
პენსიისა მოხუცებულობაში;
მზითვისა გასათხოვარ ქალთათვის;
სტიპენდიისა ყმაწვილებისათვის;
ყოველ-წლიურ შემოსავლისა სიკვდილამდე.

დამზღვეველთ წილი აქვთ საზოგადოების მოგებაში.

1 იანვრამდე 1889 წ. საზოგადოებაში „რუსეთი“ დააზღვია და უზრუნველ-ჰყო 20,107 კაცმა 56.795,020 მანათის ფული და ქონება.

მოგება დაზღვევათა 1887 წელს იყო 12%, თხოვნა ზღვევისა და ყოველ გვარი ცნობა ზღვევის შესახებ უნდა გაეგზავნოს მართველობას პეტერბურგს, Большая морская, № 13. ტფილისის აგენტებს ვ. ლ. პოტკოვსა და ი. ბ. გოლდფარბსა და საზოგადოების სხვა სააგენტოებს იმპერიის ქალაქებში.

ბროშურები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ ყველას, ვისაც სურს, უფასოდ ეძლევა და ეგზავნება.

სოლოლაკის ქუჩა, სახლი თავ. მელიქოვისა, ირაკლი-გრუზინსკის სახლის პირდაპირ.

(10—6)

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 › . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 › . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 › . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 › . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 › . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად **ნაღდ ფულზე** იყიდის **ოც-და-ათ ცალს** დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის **ათს** ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც **ოც-და-ათს ცალსა**,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც **ასსა** და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.

Дозв. ценз. Тифлисъ 11-го Октября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т.Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე